

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N31

ქ.თბილისი

20 ოქტომბერი, 2023 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	კახაბერ ლაბუჩიძე
აკაკი ალადაშვილი	შალვა ოგბაძე
ლევან არველაძე	გიორგი ონიანი
ვლადიმერ ბოჟაძე	გურამ ოქროპირიძე
საბა ბუაძე	ლევან ჟორჯოლიანი
არჩილ გორდულაძე	ნინო რუხაძე
ოთარ გრიგოლია	რევაზ სოხაძე
ლევან დავითაშვილი	ვახტანგ სურგულაძე
ნინო ვარდოსანიძე	დავით ფარცვანია
კონსტანტინე ზარნაძე	გიორგი შარაშიძე
მარიამ ზაქარიაშვილი	ზურაბ ჩიკვილაძე
ზაზა თავაძე	გივი ჩხარტიშვილი
ანა კაკაბაძე	ავთანდილ ცინცაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნინო წულაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ირაკლი ხელაძე
სალომე კობალაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ცოტნე კობერიძე	ლევან ჯაფარიძე
ზვიად კუპრავა	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭილაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი სოფიო დოლონაძე;

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი გიორგი მარგებაძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გოგი ჩიქოვანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ონიანმა გაიხსენა საკრებულოს წინა სხდომაზე კონსტანტინე ზარნაძის აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მას აქტივისტებმა მიაყენეს შეურაცხყოფა, რაზეც ოპოზიციის წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ ადამიანის შეურაცხყოფა არ არის მისაღები ფორმა. განაცხადა, რომ გუშინ, საკრებულოს წევრს, სოფიო ჯაფარიძეს „ქართული ოცნების“ აქტივისტები დახვდნენ ქვებით, კვერცხებით, გინებით და შეურაცხყოფით, თუმცა, დღეს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ვერ ხედავს აღშფოთებას ამ ფაქტთან დაკავშირებით. გიორგი ონიანმა მიმართა კონსტანტინე ზარნაძეს: „ამ ადამიანსაც ჰყავს შვილები, ოჯახის წევრები, მეგობრები და როდესაც თქვენ იძახდით, რომ თქვენს თავზე პასუხს არ აგებდით, ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც შეიძლება ჰქონდეთ მოთმინების ფიალა... გარდა ამისა, ბატონო კოტე, განა როგორ გაგიჭირდათ ტელევიზიებთან პასუხი გლდანში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომ განაცხადეთ, რომ თურმე ფრაქციაში, და ცალსახა იყო, რომ მე მგულისხმობდით, არსებობენ ადამიანები, ვისაც წამება და იარაღის ჩადება აქვს ნალიარები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ყველას წინაშე, მათ შორის, საზოგადოების წინაშე, ეს არის ტყუილი... ამერიკის მხრიდან რუსეთის აგენტად გამოცხადებულ ფარცხალაძესაც არ მოსვლია აზრად, რომ ესეთი ბრალი წაეყენებინა. რაც შეეხება კონკრეტულად იმ საქმეს, რომელზეც თქვენ აპელირებდით, მოგიტანეთ თქვენი პარლამენტარების დანიშნული ორი სახალხო დამცველის დასკვნა, მათ შორის საპარლამენტო ანგარიში, სადაც ორივე წერს, რომ საქმე, რომელზეც თქვენ საუბრობდით, არის უკანონო და დაუსაბუთებელი. თქვენ, კონსტიტუციის მოშველიება, ამ ბოლო დროს, ძალიან გიყვართ და თუ ჩავიხედავთ, წერია, რომ განაჩენი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული... რაც შეეხება მოწმეს, რომელსაც დაეყრდნო თქვენივე არჩეული მურუსიძის სასამართლო, მე მხოლოდ ერთ ციტატას მოვიყვან, სადაც პროკურატურის მოწმე აცხადებს: „პროკურატურის კონკრეტული თანამშრომლების მიერ, ნინო აღლემაშვილი, ამირან გულუაშვილი, გიორგი გაბომე, ჩემი, ასევე, მოწმის სტატუსის მქონე პოლიციის სხვა თანამშრომლების მიმართ არაერთგზის აღვილი ჰქონდა შანტაჟს, მუქარას, იძულებას, არაადამიანურ მოპყრობას, სხვადასხვა დაპირებების მოცემას, რათა ჩვენ მიგვეცა ცრუ მამხილებელი ჩვენება გიორგი ონიანის წინააღმდეგ“ და ამ განცხადებას ხელმოწერით ადასტურებს. ეს არის ის საქმე, რომელზეც თქვენ აპელირებთ. აქ არც წამებაზე და არც არაფრის ჩადებაზე საუბარი არ არის. ეს იყო ტყუილი, რომელიც აკადრეთ საზოგადოებას... თქვენ შეიძლება გაინტერესებდეთ ფარცხალაძის ან მურუსიძის განაჩენი, მე მაინტერესებს სახალხო დამცველის დასკვნები, დანარჩენს პროკურატურა გაარკვევს, როგორც კი თქვენი გავლენები მოშორდება მას“. საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ უერთდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ბოიკოტს და არ დაესწრება საკრებულოს სხდომას, რის შემდეგაც დატოვა სხდომათა დარბაზი.

კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას და განაცხადა: „მე ვთქვი, რომ გვყავს ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ნასამართლევია ჩადების მუხლით, წამების მუხლით, აღიარებული აქვს და ამ ადამიანის პარტიის წევრი ჩვენ გვაბრალებს იგივე ბრალდებებს. „ნაციონალური მოძრაობისგან“ ეს სასაცილოც აღარ არის უკვე, ტრაგიკული სცენაა „ნაციონალური მოძრაობა“, რომ ჩვენ ამას გვაბრალებს. მინდა ბატონ გოგა ონიანს და მის ფრაქციას კიდევ ერთხელ შევახსენო: ერთი - ამ საქმეში არსებობს დაზარალებული, ორი - ამ საქმეზე არსებობს აღიარება და სამი - დღემდე არ მოაქვს ნასამართლეობის ცნობა საკრებულოში. ეს არის, რისი თქმაც მინდოდა, მოიტანოს მან ნასამართლეობის ცნობა და დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენ ამაში ვტყუით და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც შეგვეშალა, მაგრამ, ამ მოცემულობაში, ამის თქმის საშუალება და უფლება მე არ მაქვს, რომ მოსახლეობა მოვატყუო. მე მასთან პიროვნული უთანხმოება ნამდვილად არ მაკავშირებს, ეს, უბრალოდ, პოლიტიკური განხილვის საგანი იყო, არის და იქნება ყოველთვის,

სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ იარსებებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი არჩევნები ამ ყველაფერს საბოლოოდ დაუსვამს წერტილს.“ საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე, საკრებულოს კონკრეტულმა წევრმა „ქართულ ოცნებას“ მიაყენა შეურაცხყოფა და აკადრა „იარაღის ჩადება“ და „სხვადასხვა ბინძური მეთოდებით“ არჩევნებში მონაწილეობა, რისი უპასუხოდ დატოვებაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან იქნებოდა მათი ამომრჩევლის უპატივცემულობა და მსგავს შემთხვევას არასდროს დატოვებს რეაგირების გარეშე.

ზვიად კუპრავამ ისაუბრა დეველოპერების თემაზე და განაცხადა, რომ „ამ ქალაქში არსებობენ კეთილსინდისიერი დეველოპერები, რომლებიც კეთილსინდისიერად ყიდულობენ მიწას, კეთილსინდისიერად იღებენ მასზე მშენებლობის ნებართვას, კეთილსინდისიერად ახორციელებენ საქმიანობას დადგენილი კანონის ფარგლებში, რის შემდეგაც მათთან მიდის „ლილუაშვილის სასტავი და ახევენ“ დაწყებულ საქმეს, რომელშიც უამრავი ინვესტიციაა ჩადებული და ა.შ. ეს არ არის ერთი და ორი შემთხვევა, ეს არის უამრავი, ძალიან ბევრი შემთხვევა და ეს ადამიანები მოდიან ჩემთან, მიყვებიან ამ ამბებს და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, დღეს ამ საკითხზე მესაუბრა თქვენთან.“ განაცხადა, რომ ყველამ კარგად იცის, რომ ეს არ არის კონკრეტული დეველოპერების და სახელების და გვარების პრობლემა და თუ ბიძინა ივანიშვილი დარჩა 2024 წელს, კახა კალაძეს მოუწყობენ იგივე იმპიჩმენტს, რაც მოუწყვეს სალომე ზურაბიშვილს, რისი მხარდამჭერი და მოსურნეც თავად არ იქნება, მაგრამ საინტერესოა, საკრებულოს წევრები, რომლებიც კახა კალაძის მეგობრები და გუნდის წევრები არიან, 2024 წლის შემდეგ იქნებიან თუ არა საკრებულოში. საუბრის ბოლოს, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „იფიქრეთ იმაზე, სად არის თქვენი ხვალისდელი დღე. მე კი არ ვარ თქვენი მტერი, თქვენი მტერი არის ბიძინა ივანიშვილი და მისი ვერტიკალი ლილუაშვილის ხელმძღვანელობით“ და დატოვა სხდომათა დარბაზი.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ „შემზარავი ტრაგედია დატრიალდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში“, სადაც 14 წლის არასრულწლოვანი გოგო იძულებით ქორწინებაში იმყოფებოდა 28 წლის კაცთან, რომელმაც ის მოკლა. მისი თქმით, ფემიციდის გახშირებული შემთხვევები თითოეულ ჩვენგანს გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას, რომ არ გავჩუმდეთ ასეთ დროს და მით უფრო, როდესაც ვიცით, ვუყურებთ, ვუსმენთ და არაფერს ვაკეთებთ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. არასრულწლოვანთან ქორწინება, თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა დასჯადია ჩვენს ქვეყანაში და აუცილებელია ყოველი ასეთი შემთხვევა დროულად იყოს იდენტიფიცირებული და მას მოჰყვეს რეაგირება, როგორც საზოგადოების, ასევე, შესაბამისი უწყებების მხრიდან. თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიას, რომელიც გენდერულმა საბჭომ, ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან და პაციენტთა ორგანიზაციას „ევროპა დონა საქართველოსთან“ ერთად, განახორციელა ოქტომბრის თვის განმავლობაში და აღნიშნა, რომ გენდერული საბჭო უამრავი სხვა აქტივობითაც ეცადა თითოეული ქალისთვის ეთქვა, რომ დროულად მიმართოს სკრინინგ პროგრამებს, რომლებიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. თუმცა, მთელ ამ პროცესში, სამწუხაროდ, ვერ დაინახა იმ ალტერნატიული ორგანიზაციის მხარდაჭერა, რომელიც შეიქმნა საკრებულოში ოპოზიციონერი კოლეგების მიერ, რაც კიდევ ერთხელ აფიქრებინებს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები, ვითომდა გარკვეულ ადამიანებს ჰქონდათ სურვილი უფრო მეტად ჩართულიყვნენ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობაში, იყო „ერთჯერადი აქცია“ და არანაირი კავშირი არ ჰქონდა რეალურ საქმესთან, რაც აზიანებს იმ ადამიანების ინტერესებს, რომლის ინტერესების დაცვასაც ემსახურება გენდერული პოლიტიკა. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, თითოეულ უწყებას, ყველა პარტნიორს, სტუდენტებს, უნივერსიტეტებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის განმავლობაში შეუერთდნენ თბილისის საკრებულოს.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა თბილისის მერის მიერ დაანონსებულ საკითხზე, რომელიც ეხება თბილისის სიმბოლიკის კანონის წესით დამტკიცებას და აღნიშნა, რომ თბილისი არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელსაც არ აქვს კანონის შესაბამისად დამტკიცებული

სიმბოლიკა. ქალაქის სიმბოლიკას განეკუთვნება დროშა და გერბი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ჰერალდიკის წესებს და მიღებული უნდა იყოს კანონის წესის შესაბამისად. დღეის მდგომარეობით, თბილისის სიმბოლიკა არ აკმაყოფილებს არცერთ ხსენებულ მოთხოვნას და შესაბამისად, საჭიროა მისი კანონის შესაბამისად მიღება და ჰერალდიკის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ საკითხზე ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან იყო კონსულტაციები და მათი პროფესიული მოსაზრებებიდან გამომდინარე და ასევე, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საჭიროა გერბის და დროშის ახალი სახით მიღება. პროცესი იქნება ღია, ესკიზების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით და მნიშვნელოვანია, რომ ბევრმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, რომელიც გულისხმობს იღეის წარმოდგენას, რის შემდეგაც, კომისიის მიერ, მოხდება საუკეთესო ნამუშევრის შერჩევა. ნინო ვარდოსანიძემ საკრებულოს წევრებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ პროცესში, განაცხადა, რომ თბილისი დღემდე იყენებს ემირ ბურჯანაძის ნამუშევარს, რომელიც მომავალშიც იქნება ქალაქის ერთ-ერთი აღმნიშვნელი სიმბოლო და მადლობა გადაუხადა მის ოჯახს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ქალაქის სიმბოლიკის შერჩევის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პროცესი წარიმართოს სწორად და მაქსიმალურად მეტი ადამიანი ჩაერთოს, როგორც კონკურსში, ასევე, გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, სადაც შემოთავაზებული იქნება ისეთი ფორმატი, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართოს არაერთი განხილვა და მიმართა საკრებულოს, როგორც უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის წევრებს, აქტიურად ჩაერთონ პროცესში, რათა საბოლოო შედეგი იყოს ისეთი, როგორც ეკადრება ჩვენს ქალაქს.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მთლიანად საქართველოს მოსახლეობა შეწუხდა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვით, რომელსაც „ხელოვნურად შექმნილი პროცესი, პოლიტიკური ცირკი და სანახაობა, პურის გარეშე“ უწოდა, რადგან, შეიქმნა ვითომ გაპრეზიდენტებული და „ქართული ოცნების“ პარტიიდან განდგომილი პრეზიდენტის ხატი, რომელმაც კონსტიტუცია დაარღვია იმით, რომ მთავრობის ნებართვის გარეშე წარმომადგენლობითი ფუნქცია შეასრულა უცხოეთში. მისი თქმით, სამწუხაროდ, ბევრს, მათ შორის, ოპოზიციიდანაც, „მოკლე მეხსიერება“ აღმოაჩნდა და სალომე ზურაბიშვილისგან შექმნეს გმირი, რომელიც წინ აღუდგა ხელისუფლებას. განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს დასვენას ხელი მოაწერა იმ მოსამართლემაც, რომელიც მან წარადგინა, რითიც ნათლად გამოჩნდა ის, რომ სალომე ზურაბიშვილი საერთოდ არ აკვირდებოდა თუ ვის ნიშნავდა საკონსტიტუციო სასამართლოში, ეროვნულ ბანკში, ვის წარადგენდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატებად თუ უმაღლესი საბჭოს წევრებად და პირდაპირ ასრულებდა პარტიულ ინტერესს. რეალურად, ახლაც, პარტიული ორმაგი თამაშის ერთ-ერთი მონაწილეა და ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ამ „ცირკის ყურებით“, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისგან გადავდივართ სხვა მხარეს. განაცხადა, რომ დღეს, საზოგადოება, მათ შორის, მედიასაშუალებებიც უნდა საუბრობდნენ მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მაგალითისთვის ისაუბრა სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხზე, რომელიც ეხება მერიაში პერსონალური კონსულტანტის თემას, რაც არის ე.წ. მსხვილ კლიენტებთან ურთიერთობის ახალი ფორმა - ლობიზმი - მერიაში, თანხის გადახდის სანაცვლოდ, კონკრეტული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების, ასე ვთქვათ, „დაკრიშვის მცდელობა“. ნინო წულაძემ გაიხსენა ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედია და აღნიშნა, რომ მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ საკრებულოს განხილულიც არ აქვს უსაფრთხოების აუდიტის შესახებ საკანონმდებლო წინადადება, არათუ ის, რომ მოქალაქეებს გაუჩნდეთ შეგრძნება, რომ საჯარო სივრცეებში უსაფრთხოების მიმართულებით რაღაც პრევენტი მანქანა გაჩნდა და სამომავლოდ შეიძლება, უსაფრთხოდ გადაადგილდნენ და არავინ საუბრობს უსაფრთხოების მიმართულების გაგრძელებაზე, ორბელიანის მოედანზე ასწლოვანი ხე წაიქცა და დააზიანა ორი მანქანა. შეიძლება ამის არგუმენტად ითქვას, რომ შეუძლებელია მსგავსი შემთხვევების პრევენცია, მაგრამ შესაძლებელია გავაჩინოთ სადაზღვევო მექანიზმი. უნდა

ვისაუბროთ ავარიულ სახლებში მაცხოვრებელ მოქალაქეებზე, რომლებსაც ყოველდღიურად შიშში უწევთ ცხოვრება და ყურადღებას არავენ აქცევს. ნინო წულაძე გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლას, რომელმაც ისაუბრა არასრულწლოვანთან ქორწინებაზე და ამ დროს, აითაჯის სკოლის დირექტორს, რომელიც პარტიასთან დაახლოებული პირია, სწორედ არასრულწლოვანი ცოლი ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, სანამ რაიმე ტრაგიკული შემთხვევა არ დადგება, პარტია ამის გამოვლენას და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას არ გეგმავს. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ძალიან ბევრი მუნიციპალური საკითხია კრიტიკული საჭიროების წინაშე და იმის ნაცვლად, რომ ადამიანების ყურადღება გადავიტანოთ „ძალით შექმნილ, ხელოვნურ პოლიტიკურ თემებზე“ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ ყველა მოქალაქისთვის და არა მხოლოდ „წარჩინებულთათვის და გამონაკლისებისთვის“ და ამაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს მედიამაც, რადგან „ხელოვნური ცირკების დრო საქართველოში აღარ არის.“

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების და განაცხადა, რომ „ნაციონალების გამოსწორება შეუძლებელია“, არ შეიძლება და არაკოლეგიალურია მუდმივად პროკურატურასა და დაპატიმრებაზე საუბარი, ისინი არიან „მაოხრებელი გზირივით“, რომლებიც პოლიტიკურად გარდაიცვალნენ, თუმცა, „მანც არ გვასვენებენ“.

საბა ბუაძე გამოეხმაურა საკრებულოს წინა სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს და იმ უმძიმეს ფაქტს, როდესაც საკრებულოს წევრი, საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გამო, რამდენიმე ათეულმა ადამიანმა, საკუთარ სახლთან, მშობლების დასანახად, უმოწყალოდ სცემა. მართალია, ამ ფაქტზე დააკავეს ექვსი პირი, მაგრამ გავრცელებული ვიდეოკადრებიდან ჩანს, თუ რა რაოდენობის ადამიანი მონაწილეობდა ამ შემზარავ ფაქტში და ცხადია, ჩვენი არჩევანია, თუ როგორ დავინახავთ და შევაფასებთ ამ საკითხს. მისთვის შეუძლებელია ამ ამბავში არ დაინახოს პოლიტიკური კონტექსტი და იმ ადამიანების პოლიტიკური მოტივაცია, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ საკრებულოს წევრს. ასევე, არ შეუძლია, არ დაინახოს ის „ტოქსიკური კრიმინალური კლიმატი“, რომელიც შექმნილია „ქართული ოცნების“ მიერ, რადგან, რომ არ არსებობდეს ეს კლიმატი, ის ხალხი, რომელიც საკრებულოს წევრზე ასეთი ფორმით ჯგუფურად ძალადობს, კარგად დაფიქრდებოდა, სანამ მსგავს რამეს დააორგანიზებდა. ამ ადამიანებს რომ არ ეგონოთ, რომ რაღაც ტიპის მხარდაჭერა და მიმდებლობა აქვთ, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან, ვერ გახედავდნენ ამ ყველაფრის გაკეთებას. მისი თქმით, პოლიტიკური მოტივით ჯგუფურად ჩადენილი „ასეთი საზარელი დანაშაულისთვის ორწლიანი მუხლი არის უბრალოდ სასაცილო“ და იმედი აქვს, დადგება დრო, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები ამ ფაქტს შეაფასებენ შესაბამისად და დაინახავენ პოლიტიკურ მოტივაციას. საბა ბუაძემ ასევე, ისაუბრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის გამოსვლაზე, რომელმაც ფაქტობრივად არაფერზე არ ისაუბრა - ისაუბრა იმაზე, რომ თურმე სადღაც არსებობს ბირთვული აფეთქების საფრთხე, რომ ფარცხალაძე, რომელსაც თავისუფლად მისცეს საშუალება, დაეტოვებინა ქვეყნის საზღვრები, არ არის კრიმინალი და რომ ყველაფერი არის კარგად, რაც არის ძალიან დიდი ტყუილი. მისი თქმით, ლილუაშვილის გუშინდელი გამოსვლა მხოლოდ იმიტომ იყო ძალიან სამარცხვინო მოსასმენი, რომ იგნორირებულია ის ტოტალური კორუფცია, რომელიც ხდება, მათ შორის, თბილისის მერიის მონაწილეობით, იგნორირებულია ის განცხადებები, რომლითაც ოპოზიციის წარმომადგენლები მიმართავენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და პროკურატურას იმ დადასტურებულ კორუფციაზე, რომელიც მიმდინარეობს თბილისის მერიის მონაწილეობით, რაც არის იმის აღიარება, რომ ლილუაშვილი არის თანამონაწილე იმ ძალიან დიდი კორუფციული ინფრასტრუქტურის, რომელიც ივანიშვილმა, კალაძემ, ღარიბაშვილმა და სხვებმა ააწყვეს ერთადერთი მოტივაციით - თანამდებობა გამოიყენონ გამდიდრებისთვის და ჩვენი ქვეყნის უბედურების ხარჯზე კეთილდღეობის მოხვეჭისთვის.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა საკრებულოს წევრზე ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს, რომლებსაც „უსაფუძვლო და უსაგნო ბრალდება“

უწოდა, რადგან ამ განცხადებებს არავითარი წინაპირობა და საბუთი არ გააჩნია. დაკავებულები არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეეხება ჰქონდათ ირაკლი ემგვერამის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან, რეაგირება იყო მყისიერი და მკაცრი, პოლიციამ თავისი საქმე შეასრულა და სასამართლო დაადგენს რა მოხდა რეალურად. ამ ამბავში პოლიტიკური საბაზის მოძებნა და მოფიქრება არის აბსოლუტურად უადგილო, რადგან ირაკლი ემგვერამე არ წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ ფიგურას და არ აქვს ისეთი პოლიტიკური გამოსვლები საკრებულოში, რომ ამის გამო აუცილებელი იყოს „ნახევარი გლდანის შეყრა და ვიღაცების ცემა“. მისი თქმით, მოხდა ძალიან ცუდი ფაქტი, რომელზეც იყო რეაგირება და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ამ ფაქტის დაგმობასთან დაკავშირებით გაკეთდა არაერთი განცხადება. ვერავინ დაიწყებს იმის გარკვევას, თუ რა პირადი დაპირისპირება აქვთ ადამიანებს ერთმანეთთან და ოპოზიციის მხრიდან იმის მცდელობა, რომ რაიმე პოლიტიკური სარჩულით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს დააბრალოს, რომ ვიღაცზე ფიზიკურად იძალადეს მათი დავალებით, უბრალოდ სასაცილოა. ოთარ გრიგოლია ასევე, გამოეხმაურა ნინო წულაძის გამოსვლას საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა: „თუ აქ, ჩვენს კოლეგებში ვინმე არის ისეთი ადამიანი, ვინც არ იცის, რა კონსტიტუციური წყობაა ქვეყანაში, მინდა შეგახსენოთ ქალბატონებო და ბატონებო, ეს არის საპარლამენტო მმართველობა, რომელსაც მართავს პრემიერმინისტრი და პარლამენტი. საპრეზიდენტო მმართველობა ამ ქვეყანაში დამთავრდა და საგარეო პოლიტიკაზე აბსოლუტური პასუხისმგებლობა აღებული აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს და პრემიერმინისტრს. ამიტომ, ძალიან უცნაურია, როდესაც ვხედავთ ასეთ განცხადებებს. ან უვიცობასთან გვაქვს საქმე, ან მეორე - შეგნებულად ტყუილთან, ან საუბარია იმაზე, რომ უბრალოდ არ გესმით რაზე ლაპარაკობთ.“ მისი თქმით, ნებისმიერი არადელიკატური ჩარევა და არასწორი ნაბიჯი, მით უმეტეს, გეოპოლიტიკურად მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანას არა მხოლოდ დააზარალებს, არამედ, შეიძლება ჩაითრიოს ომში და აქედან გამომდინარე, საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა მიაჩნდეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, პირველ რიგში, უნდა დაიცვას პრეზიდენტი და შემდეგ უკვე ყველა იმ ადამიანმა, ვინც ცხოვრობს ამ ქვეყანაში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „თუ პრეზიდენტი არ იცავს კონსტიტუციას, ეს არის ძალიან დიდი პრობლემა... სამწუხაროა, რომ დღესდღეობით, ქალბატონი პრეზიდენტი არის რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგში მოქცეული და პრაქტიკულად აცდენილია იმ რეალობას, რომელიც ჩვენ გვაქვს შექმნილი რეგიონში.“

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ მისი მიმართვის ადრესატები თანაბრად არიან „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დღევანდელ საკრებულოს სხდომას გამოუცხადეს ბოიკოტი, მიმართა უმრავლესობის წევრებს: „უპირველესად მინდა დავაზუსტო და კარგად განვმარტო, რომ ჩვენი გუნდი კატეგორიულად ემიჯნება ნებისმიერი ტიპის ფიზიკურ ძალადობას და მიგვაჩნია, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომელიც გაამართლებს ფიზიკურ ძალადობას და თქვენი კოლეგა, აქ, დღესაც ცდილობდა, რომ ეს მიზეზი გაემართლებინა. რაც შეეხება მომხდარ ფაქტს, სადამოს გლდანში მომხდარი ამბის და გაუგებრობის დეტალებში ნამდვილად არ შევალ, ამას, იმედი მაქვს, რომ საგამოძიებო ორგანოები მიხედავენ ისე, როგორც საჭიროა. მაგრამ, მოდით, ვისაუბროთ უშუალოდ საკრებულოს სხდომაზე რა მოხდა და რატომ მოხდა? აქ მინდა გითხრათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები რისი მკადრებლები არიან, ეს ჩვენც ძალიან კარგად ვიცით და ქართველმა ხალხმა მით უფრო კარგად იცის. იმასაც კარგად ვხედავთ ჩვენ, დეპუტატები, საკრებულოს სხდომაზე როგორ ახერხებენ თქვენს პროვოცირებას და როგორ გიწვევენ საჩუბრად, რასაც, თქვენ, სამწუხაროდ, რეაგირებით პასუხობთ და ყოველ მეორე სხდომაზე, როგორც მინიმუმ, აქ მორიგი „ცირკის“ მომსწრეები ვხდებით ხოლმე. მინდა შეგახსენოთ: მათგან განსხვავებით, თქვენ ხომ ხელისუფლება ხართ, თქვენ ხომ ქართველმა ხალხმა როდესაც აგირჩიათ და ამ ქვეყნის მართვის მანდატი დროებით ჩაგაბარათ, თქვენს ვალდებულებასთან ერთად, სხვა, გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა დაგაკისრათ? ძალიან მიკვირს რატომ ვერ გრძნობთ ამ პასუხისმგებლობას და რამდენად ამართლებთ იმ რეაგირებას, რასაც თქვენ ახდენთ

„ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან უმსგავსო საქციელზე? ცემა-ტყეპა და ქვების სროლა რომ არ იყო, რასაც ქართველი ხალხი, როდესაც „ქართულ ოცნებას“ ირჩევდა, თქვენგან ელოდა, ამაზე მგონი არ უნდა ვიკამათოთ, მაგრამ სამწუხარო რეალობა არის ის, რომ დღეს მივიღეთ ის გარემოება, როდესაც ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, იგივე მანკიერი პრაქტიკა, რაც ჰქონდა შეთვისებული „ნაციონალურ მოძრაობას“, თქვენც არანაკლები „წარმატებით“ გამოგდით და დღეს მივიღეთ რეალობა, როდესაც ერთმანეთზე უარესებიც კი არიან „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გამომდინარე იმ ძალიან ბევრი ნეგატიური აქტიდან, რასაც ჩვენ კარგად ვხედავთ. როდესაც თქვენი პარტიის თავმჯდომარე, ბატონი კობახიძე გამოდის და საჯაროდ, პირდაპირ ამბობს, რომ თურმე ერთადერთი პოლიტიკური ალტერნატივა „ქართული ოცნებისთვის“, პირველ რიგში, სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ და სხვას არავის, არცერთ პოლიტიკურ ძალას, არ აქვს მომავალი და არ აქვს იმის პოტენციალი, რომ შეცვალოს პოლიტიკური სურათი საქართველოში, ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი განცხადებებით შეგულიანებული „ნაციონალური მოძრაობა“ ბედავს იმას, რასაც ბედავს ამ დარბაზშიც და სხვა დარბაზებშიც. მინდა გითხრათ, რომ ამაზე ნამდვილად არ ოცნებობდა ქართველი ხალხი და მინდა გითხრათ ისიც, რომ ამ ფიზიკურ დაპირისპირებას და „აყალ-მაყალს“ არანაირი კავშირი საქართველოს მომავალთან, ქართველი ხალხის კეთილდღეობასთან, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ, ევროპულ, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან არ აქვს და ერთადერთი რასაც ემსახურება, ეს არის წარსულში დაბრუნება და ჩვენი ქვეყნის წარსულში დატოვება. თქვენთვის, „ქართული ოცნებისთვის“, მთავარი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნებაა, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კი მთავარი მიზანი მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსის შენარჩუნებაა და ამ ამბავში, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ფიზიკურადაც კი უპირისპირდებით ერთმანეთს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, საერთო ინტერესებსაც ადვილად პოულობთ ხოლმე. ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ჩვენი მიზანი გახლავთ ის, რომ ვიმუშაოთ აქტიურად იმისათვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთად, ვერ მიიღონ 50%, რაც იქნება სტიმული ქართული პოლიტიკური სივრცისთვის ახალი, ჯანსაღი, ალტერნატიული ძალების ასპარეზზე გამოსასვლელად და ეს არის ერთადერთი პერსპექტივა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს „ნაც-ქოცური“, უკვე ოცწლიანი, ერთ, მანკიერ, წრეზე სიარული, რასაც არანაირი კავშირი დადებით, პოზიტიურ დღის წესრიგთან და ჩვენი ქვეყნის მომავალთან არ აქვს.“

ავთანდილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ სურს გამოეხმაუროს ვაშლიჯვარში მდებარე 33-ე საბავშვო ბაღთან დაკავშირებით „ატეხილ აჟიოტაჟს“, რომელიც მოწყობილია პარტია „ლელოს“ მიერ და აქ სხედან ჩვენი კოლეგები, რომლებსაც უბრალოდ ამის მცდელობა აქვთ, რადგან პარტიის წარმომადგენლები უფრო მეტნი მიდიან აქციაზე, ვიდრე გამოდის ადგილობრივი მოსახლეობა. განაცხადა, რომ 33-ე საბავშვო ბაღში არ არსებობს არანაირი პრობლემა და მიმართა „ლელოს“ წარმომადგენლებს: „ცნობისთვის, მე იქ ჩემი შვილი დამყავს. შეიძლება წარმოადგინოთ ისე, რომ თურმე, რა ცუდი ადამიანები ვართ - არ გვაინტერესებს ბავშვები, მომავალი თაობა, მათი უსაფრთხოება. იმასაც ხომ ვერ მეტყვით, რომ ჩემს შვილზე ჩემზე მეტად ნერვიულობთ?.. თუმცა, თქვენგან ამას მიჩვეულები ვართ, მახსოვს იყო მომენტი, როდესაც ძალიან ბევრს ცდილობდით, რომ მოგეყვანათ აქ ხალხი და პროტესტი გაგედვივებინათ, როდესაც დიდ დიღომში დიდი სტადიონი შენდებოდა, სადაც დღეს ათასობით ბავშვი ვარჯიშობს.“ საუბრის ბოლოს, ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ 33-ე საბავშვო ბაღთან, დაახლოებით 200-300 მეტრში მიმდინარეობს „თი ბი სი“ ბანკის საკმაოდ დიდი ოფისის მშენებლობა, რასთან დაკავშირებითაც მას პარტია „ლელოს“ წარმომადგენლების პროტესტი არ უნახავს და მიმართა მათ: „როდის აპირებთ ამის გაპროტესტებას, მაინტერესებს.“

ცოტნე კობერიძემ მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „ამ დღეების განმავლობაში მან დაემთხვა ჩვენი გემოვნება ერთმანეთს, ჩვენი გემოვნება დაემთხვა პრეზიდენტთან მიმართებაში, ოღონდ, მე ოთხი წლის წინ ვამბობდი, რომ ეს არჩევანი ღირსეული არ იქნებოდა და თქვენი ლიდერები „გამოეკვრნენ“ და გვარწმუნებდნენ, რომ ღირსეული არჩევანი იყო. მე ოთხი წლის წინ ვარწმუნებდი ხალხს, რომ ხმა არ მისცეთ თქო და ბიძინა ივანიშვილმა, ოთხი წლის წინ, დაგვირეკა და ტელეფონში გვითხრა ყველას „ხმა მიეცით სალომე ზურაბიშვილსო“.

რა შეიცვალა? რა მოხდა? არ „ტეხავს“, როცა პარტიის ლიდერი გამოდის და ამბობს, რომ ვიცოდით, რომ ერთპროცენტიანი იყო, არარაობა იყო, მაგრამ დავნიშნეთ და „დავდეთ“ პრეზიდენტადო? ეს რას ნიშნავს? როგორ უყურებთ საკუთარ ამომრჩეველს? როგორ უყურებთ პარტიას? თუ ისეთ წარმომადგენლობით ინსტიტუტს, როგორც პრეზიდენტი, იმას აარჩევენ ვისაც უბრალოდ პარტიის ლიდერი „დადებს“, ვისაც პარტია მოინდომებს, ვისაც მიაკრავს მის ნომერს, ეს შეურაცხყოფელი არ არის ყველა დეპუტატისთვის, ყველა მაჟორიტარისთვის, რომლებიც ზოგჯერ პროცენტებს რომ აჯიბრებენ ხოლმე? გამოდის, მეც რომ მე ვარ და ვერ მიტანთ და თქვენს ამომრჩეველსაც არ უნდა მოგწონდეს, რომ დამაყენოთ შემდეგ არჩევნებზე, მეც კი მაქვს შანსი, რომ მოვიგო იმიტომ, რომ პარტია ესე გადაწყვეტს, ლიდერი ესე გადაწყვეტს, ამომრჩეველი მაინც არ დაფიქრდება და ასე ირჩევთ ხალხს. ეს არის შეურაცხყოფა და ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც, სინამდვილეში, ჩემზე მეტად არ მოგწონთ ერთმანეთი. როგორც პრეზიდენტში გამოავლინეთ რაღაც თვისებები, რაც თურმე არ მოგწონთ, რაც არც არასდროს მოგწონდათ, მაგრამ, სანამ ერთ გემზე ხართ, ამას არ ლაპარაკობთ. როგორც ეხლა გადაიქცა გახარია ნარკომანად, პრემიერი რომ იყო, მაშინაც იცოდით ის ყველაფერი, რაც ეხლა არ მოგწონთ, მაგრამ რატომ აქებდით? რატომ ამბობდით რომ „სუპერ პრემიერი“ იყო? რატომ არ მოგწონთ ეხლა მარგველაშვილი? მაგრამ, ალბათ, თავის დროზე, ეგეც „დადეთ“ პრეზიდენტად. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა თანამდებობა, რომელიც ამ პარტიით ნაწილდება, უბრალოდ არის რაღაც შტოს გადაწყვეტილება, ერთი ბელადის და ვინც არ უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა თქვენს სწავლას, თქვენს დამსახურებას, თქვენს კომპეტენციას, მთავარი არის „41 მიეკრას“, მთავარი არის ადმინისტრაციულ რესურსს მიაცემინოთ ხმა, მთავარია ფული დახარჯოს ბიძინამ, ვალეები გაუსტუმროს, რეკოს, პლაკატებზე გამოეკრას, სხვა ყველაფერი არის ბუტაფორია. რომელიმე თქვენგანი რომ ამ პარტიას დატოვებს, იმ ერთზე დაიწყებს ყველა ისე ლაპარაკს, როგორი პოზიციებიც შეიძლება დღეს მე მქონდეს და ის პარტიიდან წამოსული ისე დაიწყებს „ქართული ოცნების“ კრიტიკას, მე შემშურდება. როგორც 20 ივნისზე - თურმე როგორ კარგად შეეძლო გახარია დეშალა ის აქცია, მაგრამ იმ დღეებში, ჩემთან ერთად რატომ არ აპროტესტებდით იქ რომ ხალხს თვალები დათხარეს? მე ეხლაც შემიძლია თავისუფლად ვილაპარაკო, თქვენ არ შეგიძლიათ და ეს არის დიდი განსხვავება, რასაც, თავისი პირით, აგერ უკვე, თქვენი ლიდერიც ყოველდღე გვარწმუნებს“.

ვლადიმერ ბოჟაძემ მიმართა ნინო წულაძეს: „დედაქალაქში გვაქვს ცირკი, სადაც უახლოეს დღეებში იქნება საცირკო წარმოდგენა, დაგპატიჟებთ, რომ გაარჩიოთ ცირკი და კონსტიტუციის დარღვევა ერთმანეთისგან“. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, მიმართა ცოტნე კობერიძეს: „რაც შეეხება იმას, როგორი არჩევანი გავაკეთეთ არა ოთხი წლის წინ, არამედ ხუთი წლის წინ, იყო ღირსეული არჩევანი მარტო იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტი „კაგებშნიკი“ ვაშაძე არ გამხდარიყო და, რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინ, ავიღეთ პასუხისმგებლობა, ჩვენს ამომრჩეველთან ერთად, რომ საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყო დამოუკიდებელი კანდიდატი, უპარტიო და, რა თქმა უნდა, იმედი გვქონდა, რომ ამ ქალბატონს წაკითხული ექნებოდა კონსტიტუცია და დაიცავდა. მას რომ კონსტიტუცია წაკითხული ჰქონდა, ამაზე მიუთითებს ის, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ის მთავრობას სთხოვდა ნებართვას და რატომღაც, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერად რომ ყალიბდება ნელ-ნელა და ალბათ 2024 წელს, პირველ ნომრად მოგვევლინება მათ სიაში, მათი მხარდაჭერის იმედად გადაწყვიტა, რომ ნებართვის არაღების მიუხედავად, მაინც წასულიყო. კონსტიტუციას რომ არღვევდა და ეს იცოდა, ამაზე მიუთითებს ის, რომ საზღვარგარეთ წავიდა საკუთარი სახსრებით და არა საბიუჯეტო სახსრებით. ეს რეალობა თქვენც ხომ იცით? ახლა, ნაცვლად იმისა, რომ ის პროცესი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოში და გაგრძელდა პარლამენტში, თავად თქვენ დაგეწყით და აქეთ გეთქვათ: „აი, თქვენი არჩეული პრეზიდენტი, ახლა რომ კონსტიტუციას არღვევს, მის იმპიჩმენტს მოვითხოვთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართავთ“, გადაფარებული ხართ იმ პრეზიდენტზე, რომელზეც არა მარტო ცოტნე არის იგივე აზრის, მათ შორის, „ცარიელი ადგილები“ რომ არიან წარმოდგენილი დღეს საკრებულოში, ის პარტიაც იგივეს ფიქრობს ქალბატონ სალომეზე პიროვნულდაც და ინსტიტუციურადაც. ოღონდ, ახლა, ის საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყნის ინტერესები დააზიანოს და ჩვენს საწინააღმდეგოდ იმოქმედოს...“

პრინციპული არა მარტო არჩევანი იყო 2018 წელს, პრინციპული იყო საქციელი 2023 წელს, როდესაც ჩვენს მიერ მხარდაჭერილ და დიახ, ჩვენს არჩეულ პრეზიდენტს არ ვაპატიეთ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა“. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისაუბრა ძალადობაზე და განაცხადა, რომ არაერთხელ უთქვამს, როგორც მას, ასევე, „ქართული ოცნების“ გუნდის წევრებს და ლიდერებს, რომ ნებისმიერი ძალადობა მათთვის არის მიუღებელი ისევე, როგორც მიუღებელი იყო ის, რაც მოხდა გლდანში და ის, რაც მოხდა გუშინ ჭორვილაში. გლდანში რა და რატომ მოხდა ამას დაადგენს გამოძიება და ამის დაბრალება კოტე ზარნაძეზე ან „ქართული ოცნების“ რომელიმე წევრზე, არის ცილისწამება, ტყუილი და უსინდისობა.

ლევან არველაძე გამოეხმაურა ირაკლი ემგვერაძის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე გაკეთებულ კომენტარებს, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ მომხდართან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა და განაცხადა, რომ კოლეგებმა გააკეთეს განცხადებები, რომ აღნიშნული ფაქტი არის მიუღებელი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეორე დღესვე დაიწყო გამოძიება და დააკავა ის ადამიანები, რომლებიც იყვნენ იდენტიფიცირებული და აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია, დამატებით რა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა. აქვე, აღნიშნა, რომ ირაკლი ემგვერაძის საკრებულოს სხდომაზე მოსვლა, ხშირ შემთხვევაში, არ მთავრდება ინციდენტის გარეშე და მისი მისამართით გააჟღერა: „გლდანის პირადი პრობლემები თბილისის საკრებულოს განსახილველი ნამდვილად არ არის“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არ სურს მონაწილეობა მიიღოს იმაში, რომ თბილისის საკრებულოში დრო და ენერჯია დაიხარჯოს „ქუჩურ გარჩევებში“ და მიმართა საკრებულოს წევრებს: „გთხოვთ ყველას, რომ თბილისის საკრებულოში ვიმუშაოთ თვითმმართველობის პრობლემებზე და არა რაღაც პირად გარჩევებზე“.

ვახტანგ სურგულაძე გამოეხმაურა ავთანდილ ცინცაძის განცხადებას, რომელიც მან პარტია „ლელოს“ წარმომადგენლების მისამართით გააკეთა, ამ განცხადებას „ცილისწამება“ უწოდა და აღნიშნა, რომ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის თანახმად, 33-ე საბავშვო ბაღი არის ავარიულ მდგომარეობაში. აქვე აღნიშნა, რომ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლებს არ დაუორგანიზებიათ ხსენებული აქცია, ისინი ძალიან ბევრ რაიონში დადიან, მათ შორის, ამ შემთხვევაშიც, ინფორმაცია გაიგეს სოციალური ქსელის საშუალებით, რის შემდეგაც მივიდნენ ადგილზე და დადგინეს იმ მშობლების გვერდით, რომლებსაც აქვთ ერთი მოთხოვნა - ჯერ გამაგრდეს ბაღი და შემდეგ დაიწყოს მშენებლობა. ვახტანგ სურგულაძე ასევე, გამოეხმაურა ავთანდილ ცინცაძის განცხადებას, რომ დიდ დილომაში არსებულ სტადიონზე ათასობით ბავშვი ვარჯიშობს და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „იკითხეთ რა ღირს იმ სტადიონზე ბავშვი რომ მიიყვანო და ათამაშო? ფასიანი გახდა და დიდ დილომაში მაცხოვრებელ მშობლებს ვერ დაჰყავთ იმ სტადიონზე ბავშვები“.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ, დღეს, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გამოაცხადეს ბოიკოტი და არ ესწრებიან საკრებულოს სხდომას იმ საბაზით, რომ ჩვენს კოლეგაზე, ირაკლი ემგვერაძეზე, გლდანში მომხდარ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს გამოძიება, რაც არის ტყუილი, რადგან დაკავებულები არიან ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოთ ხსენებულ ძალადობაში. აქვე, დაეთანხმა ლევან არველაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ არ შეიძლება პირადი კონფლიქტების გადმოტანა საკრებულოს შენობაში და ყველამ თავად უნდა მოაგვაროს უბანში თუ სამეზობლოში არსებული პრობლემები. მისი თქმით, აღნიშნული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის იყო საბაზი და „რეალურად, ალბათ, აპირებენ „მიხეილ სააკაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში“ მისვლას, რომელსაც მისაღები დაარქვეს და იქ აპირებენ ალბათ, რომ მის სამოსს თაყვანი სცენ“. ზურაბ აბაშიძე ასევე, გამოეხმაურა გიორგი შარაშიძის გამოსვლას, აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება მის მოსაზრებას, თითქოს „ქართულ ოცნებას“ სურს „ნაციონალური მოძრაობის“ აღზევება და განაცხადა: ეს რეალობასთან ახლოსაც არ არის,

პირიქით, ისინი „მიემართებიან უფსკრულის გზაზე და წარმატებებს ვუსურვებ იმ „მუზეუმში“ ყველას ერთად“.

სალომე კობალაძემ ისაუბრა საცობების და პარკირების კუთხით თბილისში არსებულ მდგომარეობაზე, რაც მისი აზრით, დღესდღეობით ყველაზე მტკივნეული საკითხია. პარკირება განსაკუთრებით რთული გახდა მას შემდეგ, რაც „განსაკუთრებული გულმოდგინებით“ ხდება ავტომანქანების გადაყვანა საჯარიმო სადგომზე, თუნდაც მცირედი გადაცდომის გამო - როდესაც საბურავი რჩება დახაზულის გარეთ და ა.შ. გასაგებია, რომ კანონის დარღვევა არ არის მისასალმებელი, მაგრამ ყველა მცირედი კანონდარღვევა არ არის იმის საბაზი, რომ ეს მანქანები პირდაპირ გადაყვანილი იყოს საჯარიმო სადგომზე. რთულია იმის თქმა, თუ რა არის აქედან გამოსავალი, თუმცა, აქვს რამდენიმე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ცოტა მაინც შემსუბუქდეს თბილისელების მდგომარეობა. აქვს ინიციატივა, რომ ისევე, როგორც ეს არის სხვა ევროპულ ქალაქებში, სადამოს გვიან საათებში და კვირა დღეს პარკირება იყოს უფასო. მისი თქმით, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მეპატრონის თვალწინ გადაჰყავთ ავტომობილი საჯარიმო სადგომზე მაშინ, როდესაც მძღოლს თავად შეუძლია გაიყვანოს მანქანა. აღნიშნულის გასაჩივრება იმდენად რთულია და იმდენ დროს მოითხოვს, რომ ბევრს ურჩევნია გადაიხადოს ფული და წამოიყვანოს მანქანა. აქედან გამომდინარე, აქვს ინიციატივა, რომ გაკეთდეს გასაჩივრების აპლიკაცია, რომელიც ადვილად გამოსაყენებადი იქნება და არ მოითხოვს იმდენ დროს, რამდენსაც სხვადასხვა ინსტანციებში სიარული. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ასევე, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არც ამკრძალავი ნიშანი დგას კონკრეტულ ადგილას, არც გაჩერებული მანქანა აფერხებს მოძრაობას, თუმცა, მაინც „ეგზეკუციასავით“ გადაჰყავთ მანქანა და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, ასეთ დროს მაინც არ მოხდეს ავტომობილის გადაყვანა საჯარიმო სადგომზე და ისედაც უამრავი პრობლემით გაღიზიანებული მოსახლეობა უარესად არ გაღიზიანდეს.

შალვა ოგბაიძემ მადლობა გადაუხადა სალომე კობალაძეს კონსტრუქციული და კარგი წინადადებების გაჟღერებისთვის და აღნიშნა, რომ შემოღებულია აპლიკაცია „Fix Tbilisi“, სადაც, თუ სადმე აკლია საგზაო ნიშანი, ოპერატიულად ხდება მისი აღდგენა და შესაბამისად, ინფორმირების კუთხით, ჩვენს თანამოქალაქეებს პრობლემა არ აქვთ. აქვე, განაცხადა, რომ „ჯერ-ჯერობით მსოფლიოს ზონალური და პარკირების ასეთ სისტემაზე უკეთესი ჯერ ვერ მოუფიქრებია და ამიტომ, გვინდა, არ გვინდა, ჩვენც და ჩემი თაობის ადამიანები წელ-წელა საკუთარი მანქანიდან გადავდივართ ავტობუსებზე“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ წესრიგი უნდა დავამყაროთ და არასწორი პარკირების შემთხვევაში მანქანის გადაყვანაც უნდა მოხდეს, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ, შესაძლებელია რაღაც ნაწილში, გარკვეული გადაცდომები და პრობლემები იყოს. სამსახური ამასთან დაკავშირებით ძალიან აქტიურად მუშაობს, მათ შორის, გადამზადების მიმართულებით, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც დადიან ქალაქში და ასრულებენ შესაბამის სამუშაოებს, უკეთესად განახორციელონ თავიანთი უფლებოსილება და, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მცირე გადაცდომების და ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც მძღოლი იქვეა, სამსახურის თანამშრომლების ქმედება მენტალურად არ იყოს „მკაცრი და სადამსჯელო“, არამედ იყოს წესრიგის დამამყარებელი, რაც მისაღები იქნება ყველასთვის. ბუნებრივია, ყველას ექნება გარკვეული პროტესტი იმაზე, რომ მანქანა აღარ დახვდა იქ, სადაც გააჩერა, მაგრამ, მოსახლეობამ უნდა გაიაზროს, რომ დარღვევის შემთხვევაში, ამისთვის უნდა იყოს მზად, თუმცა, ეს უნდა მოხდეს ისე, რომ იყოს არა გამაღიანებელი და სადამსჯელო, არამედ, ცნობიერების ამაღლებისთვის და მენტალურად იმისთვის, რომ არავინ დაარღვიოს კანონი.

რევაზ სოხაძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ პარკირებასთან დაკავშირებით არსებული სიმკაცრის გარეშე, საზოგადოება წესრიგს ვერ მიეჩვევა, რადგან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენს ქალაქში ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა და ამ კუთხით ლმობიერების გამოჩენა გამოიწვევს იმას, რომ ადამიანები ბოროტად ისარგებლებენ ამით, რადგან ჩვენს მენტალიტეტში არის ის, რომ „შეგვიძლია ცოტა ხნით რაღაც დავარღვიოთ“ და

განაცხადა: „არ უნდა იყოს, მათ შორის, ცოტა ხნითაც, შესაძლებელი რომ რაღაც დაარღვიო. წესი არის წესი, ყველა უნდა დაემორჩილოს, თუ არ ემორჩილები, შესაბამისი სანქციაც იქნება. მე მგონია, რომ ამ მიმართულებით ის მკაცრი პოლიტიკა, რაც ტარდება, არის მნიშვნელოვანი და სწორი.“

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მისი სიტყვები არ გულისხმობდა იმას, რომ არ იყოს სიმკაცრე, რა თქმა უნდა, სიმკაცრე უნდა იყოს, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანების გადამზადება იმისთვის, რომ აღნიშნული კარგად იქნას აღქმული საზოგადოებაში.

სალომე კობალაძემ განაცხადა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება როგორც რევაზ სოხაძეს, ასევე, გიორგი ტყემალაძეს და განმარტა, რომ მისი ნათქვამი გულისხმობდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ავტომობილის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა ხდება მაშინ, როდესაც არ ფერხდება ტრანსპორტის ან ფეხით მოსიარულეების მოძრაობა და ისეთი მცირე გადაცდომებისას, როგორც არის თუნდაც ის, რომ პარკირების ზოლში მდგომი მანქანის ნახევარი საბურავი გადმოსულია ზოლიდან და არ გულისხმობდა იმ შემთხვევას, როდესაც არის პარკირების დარღვევა, რადგან ასეთ დროს, ჯარიმის გამოწერა, რა თქმა უნდა, აუცილებელია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებლები: გიორგი მარგებაძე
სერგო ბირკაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გურამ ოქროპირიძე

10. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

11. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

12. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში არსებული 36.04 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

13. „ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

14. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

15. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

16. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე: ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში (ს/კ. N01.19.20.020.080.01.01.035) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში მდებარე (ს/კ. N01.19.20.020.083.01.01.049) ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების, მდებარე: ქალაქ თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა N42, ს/კ. N01.17.10.002.306.01.07.326 და ქალაქი თბილისი, სუხიშვილის ქუჩა N7, ს/კ. N01.19.39.029.046.01.02.045 პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

19. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

20. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.51002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

21. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

22. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კორპუსი N36-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.178.01.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

23. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

24. „ქ.თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 315 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.331) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.02.027.009) და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.529) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

26. „ქ.თბილისში, კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 104 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.026) და 1742 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.207) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.041.160) შესყიდვის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

28. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ. 01019005452) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

29. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.019) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნანა ფეტელავასთვის (პ/ნ. 01030028213) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

30. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

31. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზაფრან 95“-ისთვის (ს/ნ. 400347521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

32. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.015) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ. 01007010358) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

33. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

34. „ქ.თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მალაფერიძისთვის (პ/ნ. 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

35. „ქ.თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International-ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ. 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-265-42-12829

ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-298-19-17458 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სოფიო დოლონაძე

38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის I შესახვევი, N10/N8/N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.093, ფართობი - 1047 კვ.მ. N01.10.10.020.067, ფართობი - 2753 კვ.მ. N01.10.10.020.131, ფართობი - 637 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.838, ფართობი - 3252 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, I და II მიკრო/რაიონს შორის მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.641, ფართობი - 4976 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

42. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

43. „ქალაქ თბილისში, სოლომონ დოდაშვილის ქუჩა N20დ; N18 (ნაკვ.28/13) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.028.022; N01.17.12.028.021; N01.17.12.028.029; N01.17.12.028.028) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

44. „ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, დიდების ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.888) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

45. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქუჩა N61/ 65/ 67/73; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.690-ის ნაწილი; N72.16.22.028; N72.16.15.707; N72.16.15.708; N72.16.15.599; N72.16.22.027; N72.16.15.623; N72.16.15.621; N72.16.22.487; N72.16.22.047; N01.72.58.035.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

46. „ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი, სოფელი ქვემო ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ვარდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.17.872; N72.16.17.234; N72.16.17.804; N72.16.17.240; N72.16.17.826; N72.16.17.231; N72.16.17.866; N72.16.17.864; N72.16.17.245) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

47. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N83, N89, N93, N95, N81, აგარანის ქუჩა N60, N62, N64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.05.652; N81.02.99.096; N81.02.39.162; N81.02.93.302; N81.02.96.713; N81.02.05.394; N81.02.99.368; N81.02.05.434; N81.02.95.268; N81.02.94.701; N81.02.05.500; N81.02.94.707; N81.02.05.475; N81.02.05.558; N81.02.98.194; N81.02.98.195; N81.02.05.336; N81.02.05.435; N81.02.94.709; N81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

48. „ქალაქ თბილისში, დ.ადამაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ-ზე (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.835; N01.72.14.014.843; N01.72.14.014.579; N01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N389 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

49. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დილომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ N1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის N20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

50. „ქ.თბილისში, სოფელ დილომში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ერედვის ქუჩა, N87, N81, N89, N85, N83, N91; ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ფატმანის ქუჩა N96, N100, N98, N84, N94, N92-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.178, N01.72.14.038.116, N01.72.14.038.657, N01.72.14.038.520, N01.72.14.038.117, N01.72.14.038.118, N01.72.14.038.972, N01.72.14.038.522, N01.72.14.038.368, N01.72.14.038.521, N01.72.14.056.128, N01.72.14.056.129, N01.72.14.038.112, N01.72.14.038.915) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების

თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N623 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

51. „ქალაქ თბილისში, აკაკი გელოვანის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.758; N01.72.14.007.759) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

52. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა, შავნაბადას ქუჩა, N67, N59, N65, N63, N61, N57; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, მუხრან-თელეთის ქუჩა, N48, N46, N44, N42, N38-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.05.466; N81.02.05.441; N81.02.05.733; N81.02.93.269; N81.02.99.961; N81.02.05.483; N81.02.05.531; N81.02.05.539; N81.02.05.759; N81.02.39.032; 81.02.99.596, N81.02.99.597) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

53. „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.133; N01.18.06.018.132) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

54. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.19.942; N81.02.19.943; N81.02.19.941; N81.02.97.505; N81.02.19.944; N81.02.19.945) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

55. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.678; N81.02.18.632; N81.02.18.295; N81.02.18.688; N81.02.18.088) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

56. „ქალაქ თბილისში, ლისი, სოფელ აგარაკში, ლისის თავთან; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.27.019; N72.16.09.798; N01.72.58.014.026; N72.16.09.805; N72.16.09.799; N72.16.27.067; N72.16.09.156; N72.16.09.564; N72.16.09.153; N72.16.27.050; N72.16.27.102; N72.16.27.051; N72.16.09.152; N72.16.27.045; N72.16.27.095; N72.16.27.044; N72.16.09.565; N72.16.27.103; N72.16.27.020; N01.72.58.014.016) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი ერთბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

57. „ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ბ; ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.095, N01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

58. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N435 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ გოგი ჩიქოვანი, ბოლო წლების განმავლობაში მუშაობდა მერიის სტრუქტურაში, მათ შორის, ბოლო თვეების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, რასაც ძალიან კარგად გაართვა თავი - იყო ერთ-ერთი წარმატებული მენეჯერი და ფიქრობს, რომ მისი საქმიანობა მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე იქნება ძალიან წარმატებული. აქვე აღნიშნა, რომ გოგი ჩიქოვანი გამოირჩევა საკრებულოსთან სწორი და კარგი კომუნიკაციით, რაც, მისი აზრით, კიდევ უფრო მჭიდრო გახდება, რადგან საკრებულოს წევრებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს დედაქალაქში არსებული გამოწვევების დაძლევა.

ნინო წულაძემ წარმატებები უსურვა გოგი ჩიქოვანს და მიმართა მას: „ზოგადად, არის აღქმა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები არ გამოვირჩევით მსგავსი მოწოდებებით, მაგრამ, საწყის ეტაპზე, ყველას წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდის, სამწუხაროდ, პასუხებსაც არ გვცემენ კორესპოდენციაზე. იმედი მაქვს, თქვენ პირველი გამონაკლისი იქნებით“. აქვე აღნიშნა, რომ გოგი ჩიქოვანს კოლეგები დადებითად ახასიათებენ და წარმომადგენლობითი CV აქვს, თუმცა, საინტერესოა მისი ხედვა - რაზე გაამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას და პრიორიტეტების ჩამონათვალში თუ გაჩნდება ხმაურის რეგულაციის გამკაცრება და კონტროლი, რაც ძალიან აწუხებს ჩვენს თანამოქალაქეებს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ზოგადად, კარგი იქნება, თუ დავამკვიდრებო პრაქტიკას, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე წარდგენილმა კანდიდატმა საკრებულოს წარუდგინოს მოკლე გეგმა, თუ რის გაკეთებას აპირებს, რათა საკრებულოს წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ კოლეგების შეფასების და დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის გარდა, სხვა რაღაცის საფუძველზე დაუჭირონ მხარი მათ კანდიდატურას.

ოთარ გრიგოლიამ დააფიქსირა საკრებულოს უმრავლესობის პოზიცია, რომ მხარს უჭერს გოგი ჩიქოვანის კანდიდატურას და აღნიშნა, რომ მისი დანიშვნა მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე იმის წინაპირობაა, რომ სამსახური კიდევ უფრო გაძლიერდება და ფიქრობს, რომ საკრებულოსთან თანამშრომლობით უფრო წინ წავა დაწყებული საქმე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღეს, ქალაქში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მუნიციპალური ინსპექცია არის მერიის ერთ-ერთი მთავარი საქალაქო სამსახური და წარმატებები უსურვა გოგი ჩიქოვანს.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ იმ პერიოდში, როდესაც გოგი ჩიქოვანი იყო თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი, ძალიან კარგი კომუნიკაცია და სრული კოორდინაცია ჰქონდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მას. აქვე განაცხადა, რომ მოკლე ხანში გაუმჯობესდა არა მხოლოდ სააგენტოს, არამედ, ამ დარგის მთელი ინფრასტრუქტურა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გოგი ჩიქოვანი გამოირჩევა ძალიან კარგი მენეჯერული თვისებებით და ფიქრობს, რომ მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მისი დანიშვნით სამსახური „საიმედო ხელში“ იქნება და წარმატებები უსურვა მას.

ანა კაკაბაძემ აღნიშნა, რომ გოგი ჩიქოვანი არის გამორჩეული მენეჯერი, რაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი საქმიანობით და მას საკრებულოს უმრავლესობის სრული მხარდაჭერა ექნება. განაცხადა, რომ დარწმუნებულია, გოგი ჩიქოვანი ახალ თანამდებობაზე საქმიანობით კიდევ ერთხელ დაანახებს საკრებულოს წევრებს, თუ რა რესურსი აქვს, როგორ შეუძლია უკეთესობისკენ შეცვალოს ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრება და წარმატებები უსურვა მას.

ლევან ჟორჟოლიანმა წარმატებები უსურვა გოგი ჩიქოვანს და განაცხადა, რომ მას, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში მუშაობისას, ძალიან მოკლე პერიოდში, საკრებულოსთან ჰქონდა კარგი თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობით ძალიან კარგ შედეგებს მიაღწიეს. ისაუბრა მუნიციპალური ინსპექციის სამსახურზე და აღნიშნა, რომ ამ თემებზე საუბრისას, ყოველთვის აფიქსირებს და კოლეგებიც ეთანხმებიან, რომ სამსახურს, საკრებულოს და ზოგადად, ქალაქს სურვილი აქვს, იყოს უფრო ეფექტური, თუმცა, არ არსებობს ის საკანონმდებლო ბერკეტები, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდიდა მუნიციპალური ინსპექციის საქმიანობას. აღნიშნული ეხება მშენებლობებთან მიმართებაში კონტროლს, უკანონო მშენებლობებს, პროექტების დარღვევას და ა.შ. და აქედან გამომდინარე, მისი თხოვნა იქნება, რომ მუნიციპალური ინსპექციის ახალმა ხელმძღვანელმა მეტი იფიქროს და საკრებულოსთან ერთად, ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან, რომ გაცილებით მეტი ბერკეტი ჰქონდეთ სამსახურის თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღსრულების მიმართულებით, კანონმდებლობაში არსებობს ძალიან ბევრი შეზღუდვა.

საბა ბუაძემ წარმატებები უსურვა გოგი ჩიქოვანს, აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისიის სხდომაზე მხარი დაუჭირა მის დანიშვნას მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა, როგორც სამომავლო თანამშრომლობის კეთილი ნების გამოხატვა და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა იქნება ორმხრივი, ეფექტური და რაც მთავარია, დედაქალაქის სასიკეთო. განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები დედაქალაქის ცხოვრებაში, ინტენსიური კომუნიკაცია აქვთ, მათ შორის, მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი კომუნიკაცია იქნება ნაყოფიერი, რასაც სამწუხაროდ, ვერ იტყვის მის წინამორბედზე, რადგან თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ ერთხელაც არ უნახავს საკრებულოში, არც ანგარიში ჩაუბარებია და არც მისი კომუნიკაციის უნარი იყო ისეთი, რომელიც შეეფერება ამ „ძალიან სათუთ და მნიშვნელოვან საქმეს“ და კიდევ ერთხელ გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული იქნება ერთგვარი მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება იყოს გამოსწორებული. საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში არის ძალიან ბევრი ღიად დარჩენილი პრობლემა, მათ შორის, ერთ-ერთი ასეთი არის საქართველოს პარლამენტის მოქმედი დეპუტატის

მონაწილეობით ჩადენილი დარღვევა, როდესაც მან მუნიციპალურ საკუთრებაზე აიშენა სახლი, სადაც რამდენიმე ზაფხულია ცხოვრობს და ისვენებს. მუციპალურმა ინსპექციამ დააჯარიმა, პროცესი არის სასამართლოში, თუმცა, სასამართლო შეგნებულად იწელება და ჯერ არცერთი პროცესი არ ჩანიშნულა. აქედან გამომდინარე, აქვს თხოვნა, რომ ასეთი შემთხვევების დროს, ოპერატიულად იქნას გამოცემული მითითება დემონტაჟთან დაკავშირებით და აღსრულებული, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მონაწილეობით, რადგან ასეთი მაგალითები არის ის, რაც შემდეგ ამ ქალაქის დამახინჯებას და განადგურებას უწყობს ხელს და სამწუხაროდ, ასეთი მაგალითების უკან, როგორც წესი, დგანან თანამდებობის პირები. საბა ბუამემ ასევე, ისაუბრა კიდევ რამდენიმე მსგავს შემთხვევაზე: მისი თქმით, ელგუჯა გოცირიძემ, ფიქრის გორაზე, „შუშის შუშაბანდი“ უკანონოდ მიაშენა შენობას; კანცელარიის მოპირდაპირე მხარეს, ინგოროყვას ქუჩაზე, მთელი სართული დააშენეს და ახლა ცდილობენ ამის ლეგალიზებას; მარჯანიშვილის ქუჩაზე, მაკდონალდსთან არის ერთ-ერთი ობიექტი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ დააჯარიმა, მაინც გააგრძელეს მუშაობა და დემონტაჟის შესახებ მითითება ჯერაც არ მისულა. ხსენებული მაგალითების ჩამოთვლის შემდეგ, მიმართა გოგი ჩიქოვანს: „ეს არის რამდენიმე „ქეისი“, რომლებსაც, მინდა გთხოვოთ, რომ მიაქციოთ ყურადღება, დანარჩენს გაგიზიარებთ სამუშაო პროცესში და წარმატებებს გისურვებთ კიდევ ერთხელ“.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპექცია არის უნიშვნელოვანესი სამსახური და მადლობა გადაუხადა თბილისის მერს, მერიის ადმინისტრაციის უფროსს ვლადიმერ ჭილაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ასეთ მნიშვნელოვან დროს სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარადგინა გოგი ჩიქოვანის კანდიდატურა. აქვე, აღნიშნა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის სამსახური, რომელსაც ის აქამდე წარმოადგენდა და მიმართა ვლადიმერ ჭილაძეს: „თხოვნა გვექნება, რომ ასეთივე, არანაკლებ კომპეტენტური პიროვნება და კადრი იყოს წარმოდგენილი იმ სამსახურში“. ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში არის ათი მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან თავიანთ სამაჟორიტარო რაიონში არსებული პრობლემები და კარგი იქნებოდა, საწყის ეტაპზე, გოგი ჩიქოვანთან, თუნდაც მაჟორიტარების ფორმატში, მოეწყოს ერთი შეხვედრა, სადაც განიხილავდნენ თბილისის ამა თუ იმ რაიონში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთი არის მარჯანიშვილის მოედანზე არსებული მდგომარეობა, სადაც საღამოს 6 საათის შემდეგ ტერიტორია წარმოადგენს „ჩვეულებრივ კოლმეურნეობის ბაზარს“. საუბრის ბოლოს, ზურაბ ჩიკვილაძემ გოგი ჩიქოვანს მიულოცა მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენა და წარმატებები უსურვა.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ეთანხმება კოლეგების მოსაზრებას, რომ მუნიციპალური ინსპექცია არის ძალიან მნიშვნელოვანი სამსახური და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში საკრებულოში იქნება სხდომა, რომელზეც, ისევე, როგორც ეხლა საუბარია პარკირების მიმართულებით სანქციების შემსუბუქებაზე, ისაუბრებენ იმაზე, რომ როგორც კი ვინმემ უკანონოდ დადო ორი აგური, მაშინვე განხორციელდა დემონტაჟი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქს თუ შეგნებით პატივს არ სცემენ ის ადამიანები, რომლებიც სჩადიან დარღვევას, მაშინ უნდა ვასწავლოთ და ვაიძულოთ, რომ ამ ქალაქს პატივი სცენ, რაშიც ძირითადი და წამყვანი ძალა არის მუნიციპალური ინსპექციის სამსახური. აქვე განაცხადა, რომ იზიარებს კოლეგების მოსაზრებას, რომ კანონდარღვევა არის კანონდარღვევა და უკანონო მშენებლობა, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ის, უნდა აღიკვეთოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

გოგი ჩიქოვანმა მაღლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხადაჭერისთვის, აღნიშნა, რომ აქამდეც წარმატებული თანამშრომლობა ჰქონდა საკრებულოსთან და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება. რაც შეეხება სამსახურის მიდგომას, აღნიშნა, რომ ის იქნება ცალსახად ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე და სამსახურის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება სამსახურის ეფექტიანობის ამაღლება, კიდევ უფრო მეტად გაძლიერება და ყველა დღეს არსებული პრობლემატური საკითხის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქში საკმაოდ დიდი რაოდენობის ისეთი სატრანსპორტო საშუალებები გადაადგილდება, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გარკვეული ადმინისტრაციული სახდელები. არიან კომპანიები, რომლებსაც სურვილი აქვთ, აღნიშნული ინფორმაცია მიიღონ გარკვეული საფასურის ანაზღაურების საწესდოდ, კერძოდ, ეს თანხა არის 0.50 ლარი. წარმოდგენილი ცვლილებით, პირს, რომელიც დაინტერესებული იქნება, რომ აპლიკაციის სახით მიიღოს საჯარიმო სანქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შემლებს მიიღოს ის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹ მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² მუხლით, 135-ე-135⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ექვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გამომდინარეობს წინა საკითხიდან, კერძოდ, საჭიროა ზემოთ ხსენებული თანხის ტექნიკური ასახვა დადგენილებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ პარკირებასთან დაკავშირებული საფასური შედის სააგენტოს ანგარიშზე. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს საკუთრებაში არის დაახლოებით 20 სატრანსპორტო საშუალება, გამოდის, რომ აღნიშნული თანხა სააგენტომ უნდა გადაუხადოს თავის თავს, რაც შეუძლებელი სამართლებრივი კაზუსია და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ცვლილება, რომლის სათანადოდ, გამონაკლისის სახით, სააგენტოზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე არ იყოს გადასახდელი პარკირების საფასური.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შესაბამისად, არსებობს იმის უფლებამოსილება, რომ დაჩქარებული მომსახურებისთვის დადგინდეს საფასურები. საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციის საფუძველზე, წარმოდგენილი პროექტიდან ამოღებულია განაშენიანების რეგულირების გეგმასთან და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან დაკავშირებული საფასურები. რაც შეეხება პროცედურას, არის სტანდარტული - დაჩქარებული მომსახურებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ვადები და აქვე დაზუსტებულია, რომ თუ დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტო ჩათვლის, რომ მისი მოცულობიდან ან სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხის გაცემა შეუძლებელია მოთხოვნილ ვადაში, სააგენტოს უფლება ექნება უარი განაცხადოს დაჩქარებულ მომსახურებაზე და პასუხი გასცეს შესაბამის ვადაში, რა დროსაც განმცხადებელს დაჩქარებული მომსახურების საფასური უკან დაუბრუნდება.

ზურაბ ჩიკვილაძემ ისაუბრა ერთ-ერთ მაგალითზე, როდესაც მოქალაქეს საკუთრებაში არსებული სახლი იპოტეკით ჰქონდა დატვირთული „თი ბი სი“ ბანკში და საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, პარკინგთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა. მის მიერ მოკვლეული ინფორმაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ „თი ბი სი“ აღმოჩნდა ერთადერთი ბანკი, რომელიც იპოტეკით დატვირთულ ბინას აფორმებს ბანკის სახელზე და შესაბამისად, მოქალაქეები ვერ აგვარებენ პარკირების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი თანახმა იყო, გაეცა ცნობა, რომ უძრავი ქონება რეალურად ეკუთვნოდა მოქალაქეს, შესაბამისმა სამსახურმა პროგრამულად ვერ უზრუნველყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება სამსახურმა შეიმუშაოს რაიმე მექანიზმი იმისთვის, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს არ შეექმნათ მსგავსი პრობლემები.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ქონებაზე ვალდებულების დადება არ ნიშნავს საკუთრების უფლების გაუქმებას, შესაბამისად, მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს გარკვეული ბენეფიტი და აქედან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია წესში გარკვეული დაზუსტების გაკეთება.

ლევან ჟორჯოლიანის თქმით, არ ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში უძრავი ქონება საკუთრებაშია და მხოლოდ იპოთეკა ადევს, რადგან მოქალაქეს პროგრამულად არ შეექმნებოდა პრობლემა. მისი აზრით, ქონება უკვე გადასულია ბანკის საკუთრებაში და რეესტრში ამოსულია გამოსყიდვის უფლებით და უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ყოფილ მესაკუთრეს და ასეთ შემთხვევაში წესში რაიმეს მითითება ან პროგრამულად უზრუნველყოფა სავარაუდოდ არ იქნება შესაძლებელი, თუმცა, შესაძლებელია მსჯელობა.

გიორგი მარგებაძემ განმარტა, რომ თუ უძრავი ქონება ფიქსირდება საკუთრებაში, იპოთეკით ან სხვა რაიმე სახით დატვირთვას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან პროგრამა ავტომატურად ხედავს, რომ ქონება ფიზიკური პირის საკუთრებაშია და მას შეუძლია რეგისტრაცია, ხოლო თუ კონკრეტული ბინა, სადაც მოქალაქე ცხოვრობს არ არის მის საკუთრებაში, მაგრამ იპოთეკით არის დატვირთული უპირატესი შესყიდვის უფლებით, ამას პროგრამა ვერ დაინახავს და მათ შორის, ვერც მინდობილობით ან ნებისმიერი წერილით, ამ ქონებაზე ვერ დაირეგისტრირებს უფასო პარკირებას. შესაბამისად, ზემოთ ხსენებული მაგალითი მოითხოვს დეტალურ შესწავლას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინეს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსმა გიორგი მარგებაძემ და მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. გიორგი მარგებაძემ განმარტა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დადგენილი აქვს გარკვეული საფასურები თავისი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ცვლილებით ემატება კიდევ ერთი მომსახურება, კერძოდ, მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ შექმნილი პარკირების აპლიკაციის სერვისების გაფასიანება, რომლის ფარგლებშიც, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ორგანიზაციას ენდომება აღნიშნული სერვისების შესყიდვა, შემოთავაზებულია ტარიფები - დღეში 1350 ლარი, თვეში საშუალოდ გამოდის 40000 ლარი, ხოლო წლიური - 490000 ლარი, რომელთა გადახდის შემთხვევაში, ორგანიზაციას ან მსურველს ექნება იმის საშუალება, რომ თავის აპლიკაციაში ან ნებისმიერ სხვა მოწყობილობაში ჩააშენოს თბილისის პარკირების აპლიკაციის სერვისები. სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დადგენილების პროექტით, ასევე, წარმოდგენილია ცვლილება, რომელიც ეხება პერსონალური კონსულტანტის მომსახურების შემოღების საკითხს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მუნიციპალიტეტში ჰყავდეს თავისი პერსონალური კონსულტანტი, რომელიც მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას და გაუწევს კონსულტაციას ქალაქმშენებლობით საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული მიმართულებების კუთხით, კერძოდ: ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ დადგენილი ხარვეზების თუ შენიშვნების შესახებ განმარტების მიცემა. ამ მომსახურების გაწევა არ გულისხმობს რაიმე დაპირებას ან მოლოდინის შექმნას, რომ ამ მომსახურების შექმნა დადებითი გადაწყვეტილების მიღების ტოლფასია, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ კონსულტაციის გაწევა მერიის შესაბამისი სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ანუ დაინტერესებული პირი შეძლებს ერთი კონკრეტული კონსულტანტისგან მიიღოს სრული ინფორმაცია პროცესის შესახებ. ხსენებული ცვლილების ამოქმედება იგეგმება 2024 წლის პირველი იანვრიდან, პერსონალური კონსულტანტები იქნებიან მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლები, ხოლო რაც შეეხება მომსახურების საფასურის განსაზღვრას, ის დამოკიდებული იქნება არეალის ფართობზე. აქვე აღნიშნა, რომ პერსონალური კონსულტანტის მომსახურების შემოღება არ გამორიცხავს დღეს არსებულ რეჟიმში მომსახურების და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რადგან ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი შეთავაზება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ მისი შეფასებით, ეს ცვლილება დაკავშირებულია კონკრეტულ რისკებთან. კერძოდ, განმარტებით ბარათში წერია ამ ცვლილების მიზნობრიობა და მითითებულია, რომ ხშირ შემთხვევაში, ქალაქმშენებლობითი დასკვნებისა თუ შუალედური დასკვნების წარდგენის დროს, დაინტერესებული პირი ვერ ხვდება კონკრეტულ შინაარსს და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს უწევთ მათთან დამატებითი კომუნიკაცია, რის გამოც შემუშავებული იქნა ალტერნატივა. თუმცა, რეალურად, არამსხვილმასშტაბიანი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები, რომლებსაც არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ დაიქირაონ კონკრეტული არქიტექტურული კომპანია, რომელიც ტექნიკურად, ადმინისტრაციულად და სამართლებრივად ხელს შეუწყობს მისი პროცედურების წარმართვას, ვერც პერსონალური კონსულტანტის მომსახურების თანხას გადაიხდიან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს ლოგიკური ვარაუდი, რომ ხსენებული გათვალისწინებულია მსხვილმასშტაბიანი დეველოპერებისა და დაინტერესებული პირებისთვის, რომლებსაც აღნიშნული ცვლილებით ექმნებათ ე.წ. „ლობისტი“ და საზოგადოებაში გაჩნდება აღქმა, რომ პერსონალური კონსულტანტის აყვანა და კონკრეტული თანხის გადახდა ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი 99% დადებითად გადაწყდება. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს არათანაბარ დამოკიდებულებას მოქალაქეებს შორის და მათ ვისაც აქვს პერსონალური კონსულტანტის აყვანის შესაძლებლობა, ექნებათ დამატებითი პრივილეგიები, განსხვავებით იმათგან, ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვს და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების წინააღმდეგია.

საბა ზუაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მთავარი მისია და საზრუნავი უნდა იყოს ზოგადად მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება ანუ გაუმჯობესდეს ის, სადაც არის შეფერხება, დაყოვნება და სისტემური პრობლემა. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ისეთივე ფასიანი სერვისი, როგორც არის ბანკებში და როგორც არის პერსონალური ბანკირის მომსახურება, ისეთივე იქნება მერიაში პერსონალური კონსულტანტის მომსახურების სახით, რაც, მისი აზრით, კონცეფციურადაც არასწორია, რადგან მთავარია გაანალიზდეს თუ სად და რატომ არის პრობლემა და ამის მიხედვით შევთავაზოთ საზოგადოებას სწორი, სისტემური გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე, შემოდის სერვისი, სადაც, ვისაც აქვს მეტი მატერიალური შესაძლებლობა, იმას აქვს საშუალება, რომ ფულის გადახდის სანაცვლოდ, მიიღოს გაუმჯობესებული სერვისი მაშინ, როდესაც მუნიციპალური სერვისების მიწოდების მთავარი წარმატება არის ის, რომ ყველასთვის თანასწორი პრინციპით ხდება ერთი და იგივე სერვისის მიწოდება.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ არასწორია იმ არგუმენტის მოყვანა, რომ ვიღაც, თანხის გადახდის სანაცვლოდ, აღმოჩნდება პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან არსებობს დაჩქარებული მომსახურებები, თუნდაც ნებართვის აღებაზე და ვისაც აქვს შესაძლებლობა იხდის თანხას და, რა თქმა უნდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვარდება. შესაბამისად, გამოდის, რომ ამ ლოგიკით უნდა გაუქმდეს ყველა დაჩქარებული სერვისი და ყველა

განმცხადებელს პასუხი გაეცეს მაგალითად ერთ თვეში, რაც მისთვის გაუგებარია. ლევან ჟორჯოლიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება შესწავლილი იქნას ბაზარი, თუ რა მოთხოვნაა ამ მიმართულებით, რათა არ მივიღოთ ის სიტუაცია, რომ მომსახურებამ ვერ დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნა ან პრიქით, გვეკონდეს ისეთი მომსახურება, რომელზეც მოთხოვნა არ იქნება ან იქნება მინიმალური.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

რადიოფიციერებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი. განმეორებითი კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის წინააღმდეგია, თუმცა, ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა თავისი ხმის დაფიქსირება კენჭისყრის შედეგებში. კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოდონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით განისაზღვრა ე.წ. „ბეს“ ოდენობა, რომელიც განკარგვის შემთხვევაში იქნება 20-80%-ის ფარგლებში, ხოლო მომსახურების საფასური - 5%-ით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 16 იანვრის N10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ მერიის გარემოს დაცვის სამსახურის მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება, რომლის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, პრაქტიკაში, ახორციელებს მის მიერ მოწყობილ თუ რეაბილიტირებულ პარკებში ღონისძიებების გამართვის თაობაზე მოქალაქეების მიერ შეტყობინებების მიღებას და მასზე რეაგირების პროცედურებს. ცვლილებით წარმოდგენილია აღნიშნული პრაქტიკის ასახვა სამსახურის დებულებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების ნაწილში, კერძოდ, დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში გუნდების და კლუბების ფუნქციონირების ადგილი ჩანაცვლდება საქართველოს ჩემპიონატებში ქალაქ თბილისის სახელით მონაწილეობით, რითიც ხდება იმ შემთხვევების პრევენცია, როდესაც გუნდი ან კლუბი ფუნქციონირებს დედაქალაქში, თუმცა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში არ მონაწილეობს თბილისის სახელით. ასევე, შესაძლებელი ხდება იმ გუნდების თუ კლუბების წახალისება და დაჯილდოება, რომლებიც რეგისტრირებული არიან დედაქალაქში, ასპარეზობენ დედაქალაქის სახელით, თუმცა, ლოჯისტიკურ ნაწილში, იყენებენ ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტებსაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 65 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც 1997-2000 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში არსებული 36.04 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ 633-ე კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილება მოხდა არჩილ მეფის N17-ში, თუმცა, დარჩენილი იყო რამდენიმე პირი, რომლების დაკმაყოფილებაც ვერ მოხდა მაშინ, როდესაც გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა და აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე წარმოდგენილია ფართების გადაცემა კოოპერატივის ექვსი წევრისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 81 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 97.84 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც 2002-12 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სოფიო დოლონაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 69 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიციერებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი. კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 21

